სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება № 08

2018 წ. "30" 08

ქ.თბილისი

შპს წმინდა ბარბარეს სახელობის სკოლის ავტორიზაციის საკითხის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსთვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ

შპს წმინდა ბარბარეს სახელობის სკოლის სააპელაციო საჩივრის, საავტორიზაციო დოკუმენტაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 30 ივლისის №46 გადაწყვეტილების შესწავლისა და სააპელაციო საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 24^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლოს დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 26^7-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს შპს წმინდა ბარბარეს სახელობის სკოლის ავტორიზაციის საკითხი(ს/კ 405159590).

2.სააპელაციო საბჭოს 2018 წლის 30 აგვისტოს N3 სხდომის ოქმი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3.სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით (შემდეგ მისამართზე: დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6).

თავმჯდომარე
ნინო ოკრიბელაშვილი

მდივანი
ნინო დობორჯგინიძე